

საქართველოს განათლების სისტემის კვლევა შრომის ბაზრის არსებულ
მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით

მარიამ ცაგარიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დოლიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ცაგარეიშვილი

2020“

აბსტრაქტი

ცოდნის ეკონომიკის ეპოქაში უმაღლესი განათლება მამოძრავებელი ძალაა მსოფლიოში განვითარებისა და კონკურენციისთვის. იგი განიხილება, როგორც "ეკონომიკის ძრავა", რომელიც ხელს უწყობს სამუშაო ძალის ახალი ცოდნისა და კომპეტენციების შექმნას და მუდმივ განვითარებას, კვლევისა და ინოვაციების საშუალებით. (სურსკოვი და სმიტი, 2012).

ჩემი კვლევის მიზანია, დავადგინო ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების დინამიკის ეფექტი სტუდენტებზე, კერძოდ მათი შრომის ბაზარზე გადასვლა.

კვლევის ამოცანაა ვუპასუხოთ კვლევის მთავარ კითხვას თუ როგორ ხდება უმაღლესი განათლების სისტემის ფარგლებში შრომის ბაზრის არსებული მოთხოვნების გათვალისწინება და დაკმაყოფილება კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგალითზე?

ამისათვის წარმოდგენილ ნაშრომში ჩატარდა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა სტუდენტებს, უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და საჯარო სექტორის წარმომადგენლებს შორის, რათა მეჩვენებინა ზოგადი სურათი უმაღლესი განათლების სისტემის პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ.

კვლევაში განხილულია შემდეგი საკითხები: საქართველოს განათლების სისტემის სირთულები, განხორციელებული რეფორმები და მათი გავლენა უმაღლესი განათლების სისტემაზე. კვლევები შრომის ბაზრის არსებული მოთხოვნების შესაბამისად. რამდენად უთმობენ ყურადღებას კვლევის ეროვნულ დონეზე, კურსდამთავრებულთა პროგრესირების გზის უკეთ შესწავლისთვის. უნივერსიტეტებს შორის რა მონაცემებს აგროვებენ და როგორ ხდება მათი შედეგების ასახვა პოლიტიკის დოკუმენტებში? რა არის სხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითები და გამოცდილება? ბაზრის უკმარისობა გამოცდილი მუშახელის მიერ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოწოდებული ინფორმაცია უმაღლესი განათლებისა და სამუშაო ბაზრის ურთიერთკავშირში დღეს საქართველოში ძალიან მწირია. მაგალითად, ეროვნული სტატისტიკური სამსახურის მონაცემთა ბაზაზე

დაყრდნობით, შეუძლებელია შეფასდეს უკუგება და უმაღლესი განათლების სარგებელი, უმაღლესი განათლების შედარებით დონის (ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორანტურის ხარისხის) ან აკადემიური განათლების მიმართულებების მიხედვით. არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ ბაზრის მოთხოვნა და მიწოდება სწორად არის მართული და დაბალანსებული. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის აკრედიტაცია სტანდარტებს ავალდებულებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შეცვალონ თავიანთი პროგრამები შრომის ბაზარზე მოთხოვნილების შესაბამისად, შესრულების ინდიკატორები და შემოწმების წყაროები ბუნდოვანია.

განათლების სფეროში სწრაფი პროგრესის მისაღწევად, საქართველომ უნდა შეიმუშაოს კონკურენტული პოლიტიკა. ვფიქრობ, სხვა ქვეყნების გამოცდილება და კვლევაში გამოყენებული ორივე მეთოდი დიდ წვლილს შეიტანს პოლიტიკის დღის წესრიგში და რეკომენდაციები საშუალებას მისცემს მომავალ პოლიტიკოსებს მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები.

Abstract

In the era of the knowledge economy, higher education is driving force for development and competition in the world. It is regarded as the “engine of economy” which promotes constant development of creation new knowledge and competencies of the workforce through research and innovation. (Sursock and Smidt, 2012).

The purpose of my research is to determine the effect of the dynamics of educational processes in the country on students, in particular their transition to the labor market.

The objective of the study is to answer the main research question of how labor market requirements are met and considered by the higher education institutions in the existing higher education system.

In this research paper, qualitative and quantity research were carried out among the students, university employees and public sector representatives to have the overall picture about the problems and challenges of HE education system.

The research studies following topics: HE challenges of Georgian Education System, carried out Reforms and their influence on the HE system. Research on compliance with existing

labor market requirements. How much attention or research is being done on the National level to tackle the facing challenge of the undergraduates' future paths? How the HE decision makers are managing policy and which data is being used and collected among the universities? What are the successful examples and experiences of other countries? Insufficiency of market by the skilled labor force.

The study revealed that, provided information in relationship between higher education and the job market today is very scarce in Georgia. For example, based on National Statistical Service database, it is impossible to estimate return and the benefits of higher education, by the relative levels of higher education (bachelor's degree, master's, doctorate degree) or by academic education directions. Though there is no evidence that market demand and supply is properly managed and balanced. Despite the program accreditation standards oblige higher education institutions to adjust their program to the labor market demand, the indicators of performance and the sources of verification are vague.

To catch up the rapid progress in education sector all over the world, Georgia should elaborate the competitive policy. I think other countries experiences and both of the methods used in the research will be a great contribution to the policy agenda and recommendations will enable the future HE policy makers to make right decisions.